



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

SAMTSKHE-JAVAKHETI STATE UNIVERSITY

კატალოგზე პასუხისმგებელი პირი:

ნუნუ ჭაღიაშვილი - 591 41 12 85

## პროფესიული მოდულური პროგრამების კატალოგი

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა განპირობებულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაინტერესებული პირის მიერ სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების მიზნით, ასევე:

ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის, შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფად; ინდივიდის დასაქმების, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა თუ თვითდასაქმების, ხელშეწყობისთვის ;

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების გათვალისწინებით ახორციელებს პროფესიულ მოდულურ პროგრამებს. დაინტერესებული პირებისთვის შემუშავებული აქვს მოდულური პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ; საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს.

თითოეულ მოდულურ პროგრამას აქვს მიღების წინაპირობა. სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება წელიწადში ერთხელ და მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

ა) აპლიკანტთა რეგისტრაცია;

ბ) პროფესიული ტესტირების ჩაბარება;

პროფესიულ ტესტირებას ადმინისტრირებას უწევს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. ტესტირების წარმატებით გავლის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის სწავლა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

- ბურალტრული აღიცხვა (ახალი)
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული)
- საბაჟო საქმე
- საექთნო განათლება
- მასაჟისტ-რეაბილიტატორი (მიღევად რეჟიმში)
- პრაქტიკოსი ექთანი (მიღევად რეჟიმში)

## მოდულური პროფესიული პროგრამა - კომპიუტერული ქსელი და სისტემები

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: -ახალციხე, რუსთაველის 122

ტელეფონი: 0(365) 22 19 90

ვებ-გვერდი: sjuni.edu.ge

ელ-ფოსტა:contact@sjuni.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: ჯულიეტა ტაბეშაძე

ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა ინფორმაციის ტექნოლოგია/Information Technology

1. „ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა“. - 06112-პ
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია **ქართულ და ინგლისურ ენაზე**

საშუალოპროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში / Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems;

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - კოდი 0612. აღმწერი - „შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას. მოიცავს კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც“.

3. მიზანი:



4. პროგრამის მიზანია კომპიუტერული ქსელისა და სისტემების კვალიფიცირებული კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს კომპიუტერის აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფის, მცირე ზომის ქსელების ორგანიზებისა და გამართვის, ბაზისური სერვერული სერვისების ადმინისტრირების უნარებს; ასევე აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა და აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

#### 5. დაშვების წინაპირობები:

- პროგრამის დანართი N-33-- ით გათვალისწინებული სასწავლო გეგმით სწავლებაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება;
- პროგრამის დანართი N --2---ით გათვალისწინებული სასწავლო გეგმით სწავლებაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;

•

#### 6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

- **კომპიუტერული ქსელისა და სისტემების** საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო საკუთრებაში მყოფ კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციის ტექნოლოგიები მცირე და საშუალო ზომის საოფისე ქსელებში კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების ტექნიკოსად, რომლის მოვალეობებშიც შედის კომპიუტერული სისტემების აპარატურულ-პროგრამული და ქსელური სერვისების გამართვა-ადმინისტრირება.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62.02.0; 62.03.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3513

#### 7. სტრუქტურა და მოდულები:

პროგრამა კომპიუტერული ქსელი და სისტემები მოიცავს 3 ზოგად მოდულს ჯამური 10 კრედიტის ოდენობით. 16 პროფესიულ მოდულს ჯამური 80 კრედიტის ოდენობით. კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს **90** კრედიტი.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის ---90 ---კრედიტი

- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 66 კვირა
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 120 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 88 კვირა

**პროგრამა კომპიუტერული ქსელი და სისტემები, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები**, მოიცავს 7 ზოგად მოდულს ჯამური 68 კრედიტის ოდენობით, 16 პროფესიულ მოდულს ჯამური 80 კრედიტის ოდენობით. პირმა კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს **148** კრედიტი.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - ---148 ----კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - სამი წელი 122 კვირა
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 178 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - სამი წელი 144 კვირა

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები:**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. სერვერული ინფრასტრუქტურის გამართვისთვის საჭირო პროცედურების აღწერა;
2. Windows და Linux სერვერული ოპერაციული სისტემის ინსტალაცია;
3. ცენტრალური დირექტორიების სერვისების (Directory Service) ბაზისური ადმინისტრირება;
4. ქსელური მისამართების მართვის სისტემის (DHCP) ბაზისური ადმინისტრირება;
5. დომეინური სახელების სერვერის (DNS) ბაზისური ადმინისტრირება;
6. ფაილური და ბეჭდის სერვერის ბაზისური მართვა;
7. სერვერის ვირტუალიზაციის ტექნოლოგიის ბაზისური გამართვა.
8. Linux-ის საინსტალაციო პაკეტების მართვა;



9. Linux-სა და UNIX-ს ოპერაციული სისტემების ბრძანებების გამოყენება;
10. Linux-ის ფაილური სისტემის მართვა;
11. კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგიის ბაზისური გამართვა;
12. სტატიკური მარშრუტის კონფიგურირება;
13. დინამიური მარშრუტიზაციის ბაზისური კონფიგურირება;
14. კომუტატორის ბაზისური კონფიგურირება;
15. ვირტუალური ლოკალური ქსელის ბაზისური კონფიგურირება.

### **9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

**ჩარჩო დოკუმენტის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ საფუძველზე შექმნილია პროგრამა კომპიუტერული ქსელი და სისტემები**

პროგრამა შემუშავებულია მოდულური მიდგომით, რომელიც ითვალისწინებს ორ სასწავლო გეგმას როგორც სრული ზოგადი განათლების ასევე საბაზო განათლების მქონე პირთათვის.

### **10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

### **მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემპის ცვალებადობა).

### **მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაზუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

## **11. კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულები თვათვალისწინებული კრედიტები.

**12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის**



შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

### მოდულური პროფესიული პროგრამა - საბაჟო საქმე

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ 119

ტელეფონი:

ვებ-გვერდი: sjuni.edu.ge

ელ-ფოსტა: contact@sjuni.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: ვასილ ბერიძე

9. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა - საბაჟო საქმე / Customs Study

10. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა :- 04116-პ



**11. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში / Higher Vocational Qualification in Customs Study**

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „ადამიანებისა და საკუთრების დაცვა“, კოდი 1032, აღმწერი - „შეისწავლის საზოგადოებისთვის გაწეულ მომსახურებებს, რომლების უკავშირდება, როგორც ადამიანებს ასევე მათი საკუთრების დაცვას. მოიცავს საპოლიციო მომზადებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახანძრო დაცვას და ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლას.“

**12. მიზანი**

პროგრამის მიზანია საბაჟო საქმის სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს განახორციელოს საბაჟო საზღვრის კვეთასთან, საქონლის საბაჟო გაფორმებასთან, საბაჟო ზედამხედველობასთან, საბაჟო კონტროლის განხორციელებასთან, ასევე საბაჟო წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ამოცანები. პროგრამის მიზანია: მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სპეციალისტები აღჭურვილი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

**13. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება**

**14. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

საბაჟო საქმეში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს როგორც საჯარო (სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი), ისე კერძო სექტორში (საბროკერო, საკონსულტაციო, სავაჭრო, სამრეწველო, გადაზიდვითი და ლოგისტიკური კომპანიები, დიპლომატიური დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საბაჟო საწყოები და ტერმინალები). საჯარო სექტორში ის შეიძლება დასაქმდეს სასაზღვრო გამშვები პუნქტის ან საბაჟო გაფორმების საბაჟო ოფიცრად, ხოლო კერძო სექტორში - საბაჟო ბროკერად, საბაჟო დეკლარანტად, საბაჟო გაფორმების სპეციალისტად. ეს ფუნქციები შესაძლოა შერწყმულ იქნეს ლოგისტიკის სპეციალისტის, საბაჟო ტერმინალის მომსახურების განყოფილების სპეციალისტების ფუნქციებთან. კარიერული ზრდის თვალსაზრისით, კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია შემდგომ საფეხურებზე ბიზნესისა და ადმინისტრირების მიმართულებით.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 52.29.1, 84.11.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3351

## 15. სტრუქტურა და მოდულები

პროგრამა მოიცავს 3 ზოგადი მოდულს - ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 16 პროფესიულ მოდულს ჯამური 82 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **93 კრედიტი**.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 93 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 67 კვირა
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 123 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 89 კვირა

## 16. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. განახორციელოს საბაჟო ზედამხედველობა
2. გააკონტროლოს ფიზიკური პირი
3. გააკონტროლოს სატრანსპორტო საშუალებები
4. განსაზღვროს საქონლის წარმოშობის ქვეყანა და საბაჟო ღირებულება
5. განსაზღვროს სასაქონლო ოპერაცია და გაუკეთოს ადმინისტრირება საბაჟო გადასახდელებს
6. განახორციელოს საბაჟო დეკლარირება
7. განახორციელოს საბაჟო გაფორმება
8. განახორციელოს სასაზღვრო საკარანტინო კონტროლი
9. განახორციელოს არასატარიფო ღონისძიებები
10. განახორციელოს საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

## 17. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **საბაჟო საქმე** შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება მოდულური მიდგომით.

## 10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათმორისი, კულტურათათმორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

### მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).



### **მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

### **11. კვალიფიკაციის მინიჭება**

უმადლესი პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები - არანაკლებ 93 კრედიტისა

### **12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით

### **13. საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაცია, რომელთანაც მემორანდუმის საფუძველზე უზრუნველყოფილია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება:**

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო განათლება

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: -ახალციხე, რუსთაველის 122

ტელეფონი: 0(365) 22 19 90

ვებ-გვერდი: sjuni.edu.ge

ელ-ფოსტა: contact@sjuni.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: კობა კაკაჩიშვილი

1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა -საექთნო განათლება/ Nursing
2. სარეგისტრაციო ნომერი 09109-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე- უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED) მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „საექთნო და სამედიცინო საქმე“, კოდი 0913, აღმწერი - „შეისწავლის ავადმყოფი, სწული ან სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას და ექიმებისა და სხვა სამედიცინო და ჯანდაცვის პერსონალისთვის დახმარების გაწევას პაციენტების დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის დროს. საექთნო საქმის კვალიფიკაცია ფოკუსირებულია ავადმყოფობისა და რეაბილიტაციის დროს პაციენტების ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და მოვლაზე. ის მოიცავს მოხუცების და ასევე სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების ჯანდაცვას. სამედიცინო საქმე შეისწავლის ქალის მოვლას (ჯანმრთელობის დაცვას) ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში. ის ასევე მოიცავს ჩვილის მოვლასა და დახმარებას მეძუძური დედებისთვის.“

#### 4. მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ მიზანია, ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნის მომზადება, რომელიც შეძლებს ავადმყოფი, სწული ან სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას და ექიმებისა და სხვა სამედიცინო და ჯანდაცვის პერსონალისთვის დახმარების გაწევას პაციენტების დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის დროს.



5. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

საექთნო საქმეში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმშენის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 86.1; 86.10; 86.10.0; 86.2; 86.21; 86.21.0; 86.22; 86.220; 86.23; 86.23.0; 86.9; 86.90; 86.90.0.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3221

7. სტრუქტურა და მოდულები

საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სამ ზოგად მოდულს ჯამური 9 კრედიტის ოდენობით, ხოლო 36 პროფესიული მოდულს ჯამური 171 კრედიტის ოდენობით. პირმა საექთნო საქმეში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს არანაკლებ **180 კრედიტი**.

მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი
- თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი
- თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45 კრედიტი
- თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი
- პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი
- კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი

**მოდულების ქართული ენა A2 და ქართული ენა B1** გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს, პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- **ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:** მოცულობა: **180 კრედიტი**, ხანგრძლივობა: 123 კვირა
- **არქართულენოვანი სტუდენტებისათვის:** მოცულობა: **210 კრედიტი**, ხანგრძლივობა: 145 კვირა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე - კლინიკური სწავლების კომპონენტსაც. სწავლება-სწავლის პროცესის ხანგრძლივობა არის არანაკლებ სამი წელი, სრული დატვირთვით, რაც გულისხმობს პრაქტიკული და კლინიკური სწავლებისას კვირაში არანაკლებ 35 საათისა. უნივერსიტეტი პასუხისმგებელია თეორიული და პრაქტიკული, ასევე კლინიკური მეცადინეობის



დაგეგმვა-კოორდინაციაზე. კლინიკური სწავლება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული მოცულობის ნახევარს (90 კრედიტი) შეადგენს, რომელიც განხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე.

#### **8. სწავლის შედეგები:**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა
2. განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
3. განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
4. განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
5. განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
6. განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა
7. განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
8. განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
9. განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა
10. განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
11. დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.

#### **9. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე - ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიული სტუდენტის/სტუდენტის შეფასებებისას მოდულის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისთვის აუცილებელია, რომ თითოეული სწავლის შედეგი დადასტურებულ იქნას არანაკლებ 75 %-ით.

განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს/სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები, მოცემულია მოდულებში.

#### **10. კვალიფიკაციის მინიჭება**

პროფესიულმა სტუდენტმა **საექთნო საქმეში** უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული არანაკლებ **180 კრედიტი** და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

#### **11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირის სწავლებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია ამავე ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული წესით.

#### **12. კლინიკური სწავლების განხორციელების თავისებურებები და განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები<sup>1</sup>**

კლინიკური სწავლება არის ექთნის მომზადების ის ნაწილი, სადაც მომავალი ექთანი, როგორც გუნდის წევრი, ჯანმრთელ პირებსა და პაციენტებს ან/და თემთან პირდაპირი კონტაქტის საშუალებით უკვე შეძენილი ცოდნისა და უნარებით ერთვება რეალურ სამუშაო გარემოში. კლინიკური სწავლება-სწავლასაავადმყოფოებსა ან/და სხვა სამედიცინო დაწესებულებებში, საზოგადოებაში, მოსახლეობაში უნდა მიმდინარეობდეს საექთნო საქმის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და სხვა კვალიფიციური ექთნების<sup>2</sup> ზედამხედველობის ქვეშ.

#### **კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

##### **პროფესიული საქმიანობის კომპეტენცია:**

1. თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
2. ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
3. გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
4. კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
5. სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
6. პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
7. შინმოვლის მომსახურება

##### **კლინიკურ სწავლებაში ჩართული პირის/ექთნების უფლება-მოვალეობების რეგულირება**

კლინიკური მოდულების გავლის უზრუნველყოფის მიზნით, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კლინიკის/პრაქტიკის ობიექტს - სს „ევექსის ჰოსპიტლები“ შორის მოიცავს პრაქტიკის ობიექტის მიერ გამოყოფილი, პასუხისმგებელი პერსონალის, ექთნის მიმართ

<sup>3</sup>კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში (90 კრედიტი) ჩართული უნდა იყოს პრაქტიკის ობიექტის/ობიექტების ერთზე მეტი ექთანი.



წყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის - მის ფუნქციებს, პასუხისმგებლობას, უფლება-მოვალეობებს, პრაქტიკის ობიექტისა და საგანმანათლებლო დაწესებულების წინაშე ანგარიშგებას/ინფორმაციის გაცვლის ვალდებულებას, პროფესიული სტუდენტის არადისციპლინური პასუხისმგებლობის დასმის საკითხის უფლებამოსილებას, პროფესიული სტუდენტის წახალისებისა და პრობლემური ან/და სხვა საკითხის (რომელიც ეხება სწავლება-სწავლის პროცესსა და სწავლის შედეგების მიღწევას) განხილვის საკითხის დასმის უფლებამოსილებას.

#### **კლინიკური სწავლება-სწავლის მიმართ დამატებითი მოთხოვნა**

კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი ექთნისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობაა - 1/7. პროფესიული სტუდენტები კლინიკური მოდულების გავლისას პირადი დაცვის საშუალებების გარეშე არ დაიშვებიან. აღნიშნული საკითხის უზრუნველყოფა რეგულირდება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კლინიკის/პრაქტიკის ობიექტს - სს „ევექსის ჰოსპიტლები“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

#### **13. პრაქტიკის ობიექტის კრიტერიუმები**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-9/ნ სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაციის განსაზღვრის თაობაზე

### **მოდულური პროფესიული პროგრამა - ბულალტრული აღრიცხვა**

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ახალციხე, რუსთაველისქ. 122

ტელეფონი: 0(365) 22 19 90

ვებ-გვერდი: sjuni.edu.ge

ელ-ფოსტა:contact@sjuni.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: მაია გელაშვილი



1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა - ბუღალტრული აღრიცხვა / Accounting
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა- 04114-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა“, კოდი 0411, აღმწერი - „შეისწავლის ფინანსური ოპერაციების განხორციელებას, აუდიტირებასა და აღრიცხვას.“

#### 4. მიზანი

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს და შრომის ბაზარს შესთავაზებს კვალიფიციურ ბუღალტერს, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

#### 5. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

#### 6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

➤ ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 69, 69.20.1

➤ დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3313

#### 7. სტრუქტურა და მოდულები

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემულია ზოგადი 3 მოდული 11 კრედიტის რაოდენობით და სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი 16 მოდული 88 კრედიტის რაოდენობით, სულ 99 კრედიტი.

„მოდულების, ქართულიენა A2, ქართულიენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“ 30 კრედიტის მოცულობით.

პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის: 129 კრედიტი სავარაუდო ხანგრძლივობა: 91 კვირა

ქართულენოვანი სტუდენტებისათვის: 99 კრედიტი სავარაუდო ხანგრძლივობა: 69 კვირა.

#### 8. სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა
2. შეავსოს და არგუმენტირება გაუკეთოს სამუშაო ფორმებს (სააღრიცხვო დოკუმენტები)
3. აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები
4. შეავსოს და გააგზავნოს დეკლარაციები
5. მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება
6. აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით
7. აწარმოოს კონტროლი სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე
8. აწარმოოს მმართველობითი აღრიცხვა
9. შეასრულოს ეკონომიკური ანალიზი.

#### 9. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:



ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

#### **მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

#### **მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

### **10. კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

### **11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

ქვემოთ ჩამოთვლილი მოდულური პროგრამები ხორციელდება მიღევად რეჟიმში

- I. **სახელწოდება:** მასაჟისტ-რეაბილიტატორი
- II. **სარეგისტრაციო ნომერი:**09104-3
- III. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** მასაჟისტ-რეაბილიტატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- IV. **საკანონმდებლო ბაზა:**
  - საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
  - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
  - მასაჟისტი რეაბილიტატორის პროფესიული სტანდარტი
- V. **დაშვების წინაპირობა:**სრული ზოგადი განათლება
- VI. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში, რეაბილიტაციის ცენტრებში, სპორტულ დარბაზებსა და სპორტულ კლუბებში, აუზებზე, ესთეტიკურ ცენტრებში, სპა ცენტრებში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ჰიგიენური პროფილის სალონებში, სკოლებში, სასტუმროებში, ცეკვის სტუდიებში, ოფისებში, კურორტებზე, ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაწესებულებებში.
- VII. **მიზანი:**

პროგრამის მიზანია მასაჟისტი რეაბილიტატორების მომზადება, რომლებიც ხარისხიანად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, გამოიყენებენ ცოდნას და უნარებს შრომითი საქმიანობის ფარგლებში. ასევე, პროგრამა ხელს შეუწყობს მასაჟისტთა პროფესიული დონის ამაღლებას, ფართოსაზოგადოებისმხრიდან ინტერესისგაზრდას ამ პროფესიის მიმართ; დასაქმების შესაძლებლობების გამრავალფეროვნებას.
- VIII. **სწავლის შედეგები:**



პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- პაციენტის/კლიენტის ზოგადი მდგომარეობის შეფასება
- კონკრეტული კლიენტის სამკურნალო პროცესის ეფექტურად დაგეგმვა
- პაციენტისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა სპეციალური მექანიკური მანიპულაციებით (სამასაჟე ილეთები)
- კოსმეტიკური და ესთეტიკური მასაჟის პროცედურების ჩატარება
- სხვადასხვა ტიპის სამკურნალო მასაჟის პროცედურის ჩატარება
- ცოდნის ამაღლების მიზნით პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება.

**IX. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**

- მოცულობა: 114 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა-22 სასწავლო თვე

იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა: 144 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა-27 სასწავლო თვე

**X. სტრუქტურა და მოდულები:**

**XI. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:**

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

## **XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:**

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო.

## **XIII. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით.



სახელწოდება: პრაქტიკოსი ექთანი

II. სარეგისტრაციო ნომერი: 09101-3

III. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული სტანდარტი

V. დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

VI. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს

ა) ყველა სამედიცინო დაწესებულებაში:

- სტაციონარი
- ამბულატორია
- დიაგნოსტიკური ცენტრი
- პირველადი ჯანდაცვის ობიექტები
- რეაბილიტაციის ცენტრები
- ესთეტიკური ცენტრები
- გადაუდებელი დახმარების ცენტრები
- სასწრაფო გადაუდებელი ცენტრები

ბ) სხვადასხვა ინსტიტუციაში:

- ბინაზე მომსახურება/პატრონაჟი
- პანსიონატები (ბავშვთა, მიუსაფართა, მოხუცთა სახლები)
- პალიატიური მზრუნველობის ცენტრები
- საგანმანათლებლო დაწესებულებები
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები
- კვების ობიექტები

გ) ჯანდაცვის ორგანიზაციაში

- ჯანდაცვის სამინისტრო

VII. მიზანი:

მისცეს სტუდენტს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებების, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით.

#### **VIII. სწავლის შედეგები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- საექთნო პროცესის მართვა
- კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ჯანდაცვის გუნდთან
- ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღომისძიებების დაცვა
- სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება
- პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა

#### **IX. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**

- მოცულობა - 134 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა - 27 სასწავლო თვე

იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა - 164 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა - 32 სასწავლო თვე

#### **X. სტრუქტურა და მოდულები:**

#### **XI. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:**

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.



განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

## **XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:**

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო.

## **XIII. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით.